სარჩევი

- საქართველოს სახალხო დამცველი 2
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები 3
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები 15
- ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები 30
- სახელმწიფო გასაცემელი 31
- განათლება 34
- მოქალაქეობა 38

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს და რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის უწყებებს დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელისუფლების არცერთ შტოს არ მიეკუთვნება.

ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ ირღვევა მისი ან სხვა პირის უფლებები ან თავისუფლებები საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან, აქვს უფლება მიმართოს განცხადებით ან საჩივრით სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველის აპარატში მოქმედებს 24 საათიანი ცხელი ხაზი - 14 - 81 (დარეკვა შესაძლებელია საქართველოს როგორც ქალაქის, ისე მობილური ოპერატორების ნომრებიდან).

სახალხო დამცველი ასევე მონიტორინგს უწევს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას.

წინამდებარე ბროშურაში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია იმ სახელმწიფო სერვისებზე, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები პირებისათვის. მათ შორის არის სახელმწიფო ჯანდაცვისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები და განათლების სფეროში არსებული პროგრამები, ოჯახში ძალადობისგან დაცვის ღონისძიებები, სოციალური დახმარებისა და მოქალაქეობის საკითხი.

თუ თქვენ რაიმე სახის პრობლემა შეგექმნათ რომელიმე ამ სერვისის მიღებისას, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველი შეისწავლის მოთხოვნის საფუძვლიანობას და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღებს ზომებს სერვისის მიღებაში დახმარებისთვის.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამით მოსარგებლეებს წელიწადში 10 ათასი ლარის ფარგლებში დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, სპეციალურად აღნიშნული საკითხების განსახილველად შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

ვის შეუძლია ამ პროგრამით სარგებლობა?

პროგრამის მოსარგებლეები არიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები პირები საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობის მსურველს შეუძლია მიმართოს:
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს (მის.: საქართველო, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5, ტელ.: (+995 32) 228 12 48)
ან - აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (მის.: საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას №16, მე-3 სართული)
ან - საქართველოს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს (მის.: საქართველო, თბილისი, ქავთარაძის N21)

რა საბუთებია წარსადგენი პროგრამით სარგებლობისათვის?

პროგრამით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში პირმა (მაძიებელმა) უნდა წარადგინოს:
- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა), გაცემული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულების მიერ;

- სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით, გაცემული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულების მიერ;
- დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული პასპორტის ასლი.

განცხადებით მიმართვა შესაძლებელია სამედიცინო დაწესებულებაში პირველადი კონსულტაციის გავლის შემდეგ.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება:
- ამბულატორიული (პირველადი) დიაგნოსტიკა (გარდა განსაკუთრებული მდგომარეობით გამოწვეული წინასწარ შეთანხმებული სიტუაციებისას);
- ინ-ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებული სერვისები;
- პლასტიკური და ესთეტიკური კორექციის მიზნით დაგეგმილი ქირურგიული სერვისები;
- რეაბილიტაციური და ფიზიოთერაპიული მკურნალობა;
- C ჰეპატიტის სპეციფიკური ანტივირუსული მკურნალობა;
- სტომატოლოგიური პროფილის მკურნალობა და პროთეზირება;
- პლაზმაფერეზის, გულის გარეგანი კონტრპულსაციის პროცედურები;
- სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;
- სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
- გამოყოფილი დაფინანსების სხვა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში გადამისამართების საკითხი (გარდა სიცოცხლის დაკარგვის უშუალო რისკის შემცველი მდგომარეობისა).

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდი - http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=68
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=828

ტუბერკულოზის მართვის პროგრამა

ტუბერკულოზის მართვის პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია.

ვის შეუძლია ისარგებლოს ტუბერკულოზის მართვის პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;
- საქართველოში მყოფ ბაქტერიაგამომყოფ (მგბ+) პირებს;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირებს (იდენ-ტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად).

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებას ან ტუბერკულოზის პროფილის მქონე დაწესებულებას, ხოლო სტაციონარული მომსახურების მისაღებად - ტუბერკულოზის სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას.

შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დარეკეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომ-სახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=810
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.ncdc.ge/ka-Ge/ProgramsAndProjects/StatePrograms/TB%20management

ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამა

ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამის მიზანია მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა, მათ შორის, სეფსისის და პარაზიტული დაავადებების სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ვის შეუძლია ისარგებლოს ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პი-რებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს პროგრამის დანართით განსაზ-ღვრული ინფექციური დაავადებების სტაციონარულ მკურნალობას.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატე-ბითი ინფორმაციისთვის, დარეკეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომ-სახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=809

იმუნიზაციის პროგრამა

იმუნიზაციის პროგრამის მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან და მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით.

ვის შეუძლია ისარგებლოს იმუნიზაციის პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;

- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დარეკეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=63
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.ncdc.ge/ka-Ge/ProgramsAndProjects/Immunization

აივ-ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამა

აივ-ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამის მიზანია აივ-ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა, აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

ასევე:
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად.

- იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად, მაღალი რისკის ჯგუფებში, აივ-ინფექცია/შიდსის რუტინული ეპიდზედამხედველობის მეთოდური რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N217/ო ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად იდენტიფიცირებულ პირებს (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი სქესობრივი პარტნიორები; მამაკაცები რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ); პირები, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი რაიმე სახის ანაზღაურების მიღების მიზნით (სექსმუშაკი) და მათი კლიენტები).

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=811
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.ncdc.ge/ka-GE/ProgramsAndProjects/StatePrograms/HIVAIDS

<u>დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის პროგრამა</u>

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის პროგრამის მიზანია დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა. პროგრამა ითვალისწინებს უფასოდ:
- კიბოს სკრინინგს - ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-დან 70 წლამდე, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს 25-დან 60 წლამდე, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგს 50-დან 70 წლამდე და პროსტატის კიბოს მართვას 50-დან 70 წლამდე;
- 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა;
- ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:

- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩართვისათვის მსურველმა უნდა მიმართოს ეროვნული სკრინინგ ცენტრს ნომერზე - +995 032 2 20 35 35.

ბავშვთა განვითარების დარღვევებისა და ეპილეფსიის დიაგნოსტიკის პროგრამით სარგებლობისთვის მსურველმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, დარეკეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

ეროვნული სკრინინგ ცენტრის ვებგვერდი - http://gnsc.ge/?lang=ge
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.ncdc.ge/ka-GE/ProgramsAndProjects/EarlyDetection

<u>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა</u>

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის მიზანია დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირება ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის გზით.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს; ასევე, (ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის გარდა):
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;

- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, მათ შორის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში - ორსულობის 13 კვირამდე.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=812
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.ncdc.ge/ka-GE/ProgramsAndProjects/StatePrograms/MaternalandChildHealth

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამა

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამის მიზანია ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა, რეაბილიტაცია, ჩანაცვლებითი თერაპია და ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

ამასთან, სტაციონარული დეტოქსიკაციის და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტისათვის ხორციელდება რეგისტრაცია, რომლის ფარგლებშიც უპირატესობა ენიჭებათ:
- პაციენტებს, რომლებსაც ჯერ არ უსარგებლიათ „ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამის" „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის" კომპონენტით;

- აივ ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პირებს;
- 18-25 წლამდე ასაკის პაციენტებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე - 15 05.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=815

დიაბეტის მართვის პროგრამა

დიაბეტის მართვის პროგრამის მიზანია შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესება, შესაძლო გართულებების პრევენცია და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას რეგისტრაციისათვის, ხოლო სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურების, ასევე სპეციფიური მედიკამენტის მისაღებად, პირი წარად-

გენს სოციალური მომსახურების სააგენტოში ფორმას NIV-100/ა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტის ასლს.

შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=813

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების პროგრამა

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების პროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ 18 წლამდე ასაკის:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=808

<u>დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამა</u>

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

პროგრამის მოსარგებლეები არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული და/ან ორგანოგადანერგილი პირები, ასევე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი სხვა პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ და/ან ორგანოგადანერგილ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას ან სოციალური მომსახურების სააგენტოს.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=820

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამა

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამის მიზანია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდ-მივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომა-რეობის გაუმჯობესება.

ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:
- საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების და იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნ-ველყოფის კომპონენტებით სარგებლობა შეუძლიათ ასევე:
- საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

ვის უნდა მივმართო მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პაციენტმა უნდა მიმართოს პროგრამაში მონაწილე სამედი-ცინო დაწესებულებას. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტო-რიულ სამსახურს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე - 15 05.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=823

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ:

- დარეკოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05;
- მიმართოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს;
- ეწვიოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდს: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=804 (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ეწვიოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდს: http://www.ncdc.ge/ka-GE/ProgramsAndProjects/StatePrograms (ქართულ და ნაწილობრივ ინგლისურ ენებზე)

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები

ამ თავში მოცემულ პროგრამებს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ისინი, უმეტესწილად, განკუთვნილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის. თუ სხვაგვარად მითითებული არ არის, ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამის მონაწილეები არიან:
- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა);
- დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე მიუსაფარი ბავშვები;
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები;
- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

პროგრამების განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება

აღნიშნული პროგრამის მიზანია სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება.

პროგრამის ფარგლებში გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ბენეფიციარისათვის შეისყიდიან 1000 ლარამდე ღირებულების მათთვის აუცილებელ პროდუქტს ან მომსახურებას.

ასევე, 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიკუთვნებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას:

- რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვების ოჯახები;
- რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახი (რეინტეგრაციის განხორციელებიდან 90 დღის განმავლობაში);
- ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი;
- ოჯახი, რომელშიც ბავშვთან/ბავშვებთან ერთად ცხოვრობს არაუმეტეს ერთი შრომისუნარიანი სრულწლოვანი;
- ოჯახი, რომელშიც ცხოვრობს სამი ან მეტი ბავშვი;
- ბავშვიანი ოჯახი, რომელიც განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე სხვა ბავშვიანი ოჯახები.

ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, რომლის:
- ოჯახი განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა;
- ოჯახი რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებია.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1105

ბავშვთა ადრეული განვითარება

ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, ბავშვთა სოციალური, შემეცნებითი, თვითმოვლისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

ადრეული განვითარების პროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა) მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს.

რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამით სარგებლობისათვის?

- პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა)

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=613

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებას და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას. პროგრამა მოიცავს თერაპიულ ინტერვენციას საჭიროების შესაბამისად. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ კონკრეტული მდგომარეობის გამო (როგორიცაა, მაგალითად, ცერებრალური დამბლა, კუნთოვანი დისტროფია და ა.შ.) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს ან ამ მდგომარეობის მქონე ბავშვებს შშმ პირის სტატუსის გარეშე.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომლის შესახებაც ინფორმაციას მიაწვდის სამედიცინო პერსონალი ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახური.

რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამით სარგებლობისათვის?

ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში უნდა წარადგინოს:
- განცხადება;
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი (თუ პირი კანონიერი წარმომადგენელია);
- დაბადების მოწმობის (პირადობის მოწმობის, პასპორტის) ასლი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
- შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი, თუ ბავშვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი აქვს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომ-

სახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=611

დღის ცენტრები

პროგრამის მიზანია სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია.

დღის ცენტრი ითვალისწინებს ყოველდღიურ მომსახურებას 6 საათის განმავლობაში, 2-ჯერად კვებას, ბენეფიციართა აკადემიური საჭიროებების გამოვლენას, საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში - ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში გათვალისწინებულია დამატებით სერვისები.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

- 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. ამასთან, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
- 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული სხვა გონებრივი ჩამორჩენის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (მათ შორის, ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში).

ვის უნდა მივმართო პროგრამით სარგებლობისათვის და რა დოკუმენტებია საჭირო?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს და წარადგინოს:
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, თუ გან-

მცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) - იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელი რეგიონული საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 12 თვის განმავლობაში არ იყო ამ მომსახურების ბენეფიციარი, მიუხედავად მომსახურების მიღების ხანგრძლივობისა;
- მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურების მისაღებად დამატებით სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა №IV-50/2.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=503

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის მიზანია ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება.

პროგრამა ითვალისწინებს 24 საათიანი თავშესაფრითა და უსაფრთხო გარემოთი, კვებით, შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა, ფსიქოლოგის მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების ორგანიზებას.

პროგრამა ხორციელდება თბილისში, ქუთაისსა და ხაშურში.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სხვადასხვა პრობლემების მქონე დედა, არასრულწლოვან შვილ(ებ)თან ერთად, თუკი ერთ-ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის და ეს უკანასკნელ(ნ)ი მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან.

ასევე, სხვადასხვა პრობლემების მქონე ქალი, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფება (მათ შორის, არასრულწლოვან შვილებთან ერთად, თუკი ერთ-ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის და ეს უკანასკნელ(ნ)ი მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან).

ვის უნდა მივმართო პროგრამით სარგებლობისათვის და რა დოკუმენტებია საჭირო?

პროგრამით სარგებლობისათვის პირმა უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს და უნდა წარადგინოს:
- პირადობის დამადასურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი, ან დაბადების მოწმობა და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- თუ პირ(ებ)ი არასრულწლოვანია;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=1286

მინდობით აღზრდა

პროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ვერ ხერხდება) მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა.

პროგრამა ითვალისწინებს ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობას; ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფას; ბავშვის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მიმღებ ოჯახს ფინანსურად.

ვინ შეიძლება დაექვემდებაროს მინდობით აღზრდას?

18 წლამდე ასაკის პირი:
- რომელიც არის ობოლი;
- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა(თ), ჩამოერთვა(თ) ან შეუჩერდა(თ) მშობლის უფლება-მოვალეობები.

ვის უნდა მივმართო თუ მსურს მინდობით აღზრდა?

ასეთ შემთხვევაში უნდა მომართოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=49

მცირე საოჯახო ტიპის სახლები

პროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურება, მათ შორის, ითვალისწინებს მინიმუმ სამ-ჯერად კვებას, შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლებას, პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარებას, აკადემიური მოსწრების გაუმჯო-ბესების ხელშეწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში - ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას, საქართველოს კურორტებზე, ზედიზედ არანაკლებ 12 დღის განმავლობაში ჯგუფური დასვენების უზრუნველყოფას და სხვა.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ბიოლო-გიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება. ასევე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მიერ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=47

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის მიზანია მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.

პროგრამა ითვალისწინებს მობილური ჯგუფის, დღის ცენტრებისა და სადღეღამისო თავშესაფრების მომსახურებას.

დღის ცენტრის მომსახურება გულისხმობს ორჯერად კვებას, პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობას, ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას, კრიზისული სიტუაციების მართვას, ბენეფიციართა აკადემიური საჭიროებების გამოვლენასა და მათი დაკმაყოფილების ხელშეწყობას, ასევე, არაფორმალური განათლების მიწოდებას და სხვა.

სადღეღამისო თავშესაფრების მომსახურება ითვალისწინებს ბავშვის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას (კვება, ჰიგიენა, უსაფრთხოება, თავშესაფარი, განათლება, ჯანმრთელობა, მზრუნველი გარემო), სამჯერად კვებას, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას და სხვა.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1104

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

რა ტიპის დამხმარე საშუალებებით შეუძლია სახელმწიფოს პირის უზრუნველყოფა?

სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) დამხმარე საშუალებებით პირის/პირის კანონიერი წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის და სპეციალური ჯანმრთელობის ფორმის საფუძველზე, მათ შორის:

- სავარძელ-ეტლებით და საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით;
- უსინათლოთა ხელჯოხით, ხელჯოხ/ყავარჯენით, ყავარჯენით, გადასაადგილებელი ჩარჩოთი (ჩოჩიალით);
- სმენის აპარატებით;
- კოხლეარული იმპლანტით;

ვის უნდა მიმართოს პირმა დამხმარე საშუალების მისაღებად?

დამხმარე საშუალების მისაღებად პირმა განაცხადი უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ოფისში, საჭიროების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

რა საბუთებია წარსადგენი დამხმარე საშუალების მისაღებად?

დამხმარე საშუალების მისაღებად პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს:
- პირის/შშმ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის არქონისას - დაბადების მოწმობის ასლი;
- პირის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი, თუ განმცხადებელი პირის კანონიერი წარმომადგენელია;
- პირის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი პირის კანონიერი წარმომადგენელია;
- შშმ პირის (მათ შორის, შშმ ბავშვის) სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი (შშმ პირის შემთხვევაში);
- პირზე გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, სადაც მითითებული იქნება ამ კომპონენტით გათვალისწინებული დამხმარე საშუალების საჭიროება შესაბამისი სახეობის მითითებით.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=420

ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა

რას გულისხმობს ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამა?

პროგრამა გულისხმობს საქართველოში მცხოვრები ყრუ პირების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას საქართველოს 8 რეგიონში - იმერეთში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლში, კახეთში, ქვემო ქართლში, აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში სურდოთარჯიმნების მომსახურების უზრუნველყოფით.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

სურდოთარჯიმნის მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=616

ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

რას გულისხმობს ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა?

პროგრამის მიზანია ომის ვეტერანთათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურებების გაწევა. შესაბამისი ინდივიდუალური კურსის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი მომსახურების მიღება:
- ექიმ-სპეციალისტ(ებ)თან კონსულტაცია;
- ფიზიოთერაპიული და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება;
- ბალნეოლოგიური პროცედურების ჩატარება;
- სამკურნალო ფიზკულტურისა და მანუალური თერაპიის პროცედურების ჩატარება.

წლის განმავლობაში დაფინანსდება ერთი ინდივიდუალური კურსი.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ან ხანდაზმული (ქალები - 60, მამაკაცები - 65 წლიდან) ომის მონაწილე პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საინფორმაციო ბაზაში.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას (შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ს/პ ცენტრი”).

რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამით სარგებლობისათვის?

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომ პირს მიმდინარე წელს არ უსარგებლია ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით (ინდივიდუალური კურსით);
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი (შშმ პირის შემთხვევაში);
- ომის მონაწილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=37

სათემო ორგანიზაციები

რას გულისხმობს სათემო ორგანიზაციების პროგრამა?

პროგრამის მიზანია ხანდაზმულთათვის და 18 წლისა და უფროსი ასაკის შშმ პირთათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია.

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც, მათ შორის, გულისხმობს საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსა-

ხურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას, საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შედგენას და განხორციელებას და სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით ურუნველყოფა კი გულისხმობს, მათ შორის, არაუმეტეს 6 ბენეფიციარზე გათვლილი ოჯახური ტიპის საცხოვრებლით, ბენეფიციართა მაქსიმალური ფუნქციური დამოუკიდებლობის ხელშემწყობი მომსახურებებით უზრუნველყოფას, სურვილის გათვალისწინებით სრულფასოვანი კვებით ან საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, საყოფაცხოვრებო (მ.შ. თვითმოვლის) უნარ-ჩვევების განვითარება-სწავლებას, ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამით სარგებლობისათვის?

- მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;
- მაძიებლ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=790

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლა

რას გულისხმობს ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამა?

პროგრამის მიზანია მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდებით.

პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარისათვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შედგენას (რომელიც მოიცავს როგორც ბენეფიციარისათვის, ისე მშობლისათვის მორალური და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას, სოციალური, თვითმოვლის და კომუნიკაციური უნარების გაძლიერებას და სოციალურ ინტეგრაციაში ხელშეწყობას), ბინაზე ან სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში განვითარების სპეციალისტის (მომვლელის) და მულტიდისციპლინარული ჯგუფის სპეციალისტების მიერ შესაბამისი მომსახურების მიწოდებას თვეში არანაკლებ 44 საათის განმავლობაში.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი სკოლაში და/ან დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა.

პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში.

ვის უნდა მიმართოს პირმა მომსახურების მისაღებად?

მომსახურების მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამით სარგებლობისათვის?

- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- ბავშვის დაბადების მოწმობის, ან პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლი;
- შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №121 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება

რას გულისხმობს ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების პროგრამა?

პროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში მოვლა და აღზრდა.

პროგრამა ითვალისწინებს სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლში სათანადო კვებით, შესაბამისი სამოსითა და ჰიგიენის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას. ამასთან, მულტიდისციპლინარული გუნდი (განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი) შეიმუშავებს ბავშვის მომსახურების ინდივიდუალურ გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას. მცირე საოჯახო ტიპის სახლი ასევე ითვალისწინებს სათანადო სამედიცინო ზრუნვას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ მომსახურებას.

ვინ წარმოადგენს პროგრამის სამიზნე ჯგუფს?

პროგრამის სამიზნე ჯგუფია სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალის თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩარიცხვასთან დაკავშირებით?

სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციარის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მიერ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №121 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

როგორ შეიძლება მოვიპოვო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება შესაძლებელია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ, მიმართვის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ჩართვის გარეშე. სტატუსი ძალაშია მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი ასევე მინიჭებულად ითვლება დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის მომენტიდან ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში, ან სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში.

რა სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს სახელმწიფო სთავაზობს დროებით კრიზისულ ცენტრში ან/და თავშესაფარში განთავსებას. ასევე, ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს შეუძლიათ სამედიცინო, სოციალური მუშაკისა და სამართლებრივი დახმარების სერვისებით სარგებლობაც, თავშესაფრის სერვისით სარგებლობის გარეშეც. აღნიშნული სერვისების მისაღებად არ არის საჭირო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვებს შეუძლიათ ისარგებლონ ფსიქოლოგის მომსახურებით.

კრიზისული ცენტრი არის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი და ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ თავშესაფარში განთავსება შესაძლებელია მაქსიმუმ 7 დღე.

სახელმწიფო თავშესაფარი არის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას. სახელმწიფო თავშესაფარი მდებარეობს საქართველოს რამდენიმე ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სიღნაღსა და გორში. თავშესაფარში განთავსება შესაძლებელია 3-დან 12 თვემდე.

თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში განთავსებისას მსხვერპლი სარგებლობს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური დახმარებით.

სად შეიძლება მივიღო კონსულტაცია ოჯახში ძალადობის საკითხებზე?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციოდ მოქმედებს ცხელი ხაზი **116 006** (საქართველოს როგორც ქალაქის, ისე მობილური ოპერატორების ნომრებიდან).

შემიძლია თუ არა მივმართო სახალხო დამცველს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში?

შეტყობინება ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შესაძლებელია მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატის თბილისის და რეგიონის ოფისებს თავად მსხვერპლის ან მესამე პირის მიერ, ვისთვისაც ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ.

სახელმწიფო გასაცემელი

სახელმწიფო პენსია

ვის შეუძლია მიიღოს სახელმწიფო პენსია?

ქალებს 60 და მამაკაცებს 65 წლის ასაკიდან აქვთ უფლება მიიღონ სახელმწიფო პენსია.

პენსიის მიღების უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში

და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს.

პენსიას ვერ მიიღებს პირი, თუ ის ახორციელებს საჯარო საქმიანობას. საჯარო საქმიანობა გულისხმობს საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში განხორციელებულ შრომით ანაზღაურებად საქმიანობას.

რა საბუთები უნდა ერთვოდეს განცხადებას პენსიის დანიშვნის თაობაზე?

პენსიის მაძიებელი განცხადებას წარადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოში.

საქართველოს მოქალაქის განცხადებას თან უნდა ერთოდეს მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ განცხადება ორგანოში მის კანონიერ წარმომადგენელს შეაქვს, განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ ასევე უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეც არის. ასევე, სახელმწიფო სერვისების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში კანონიერ ცხოვრებას.

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php/index.php?lang_id=GEO&sec_id=378

საყოფაცხოვრებო სუბსიდია

რა არის საყოფაცხოვრებო სუბსიდია და ვის ენიშნება ის?

საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ფულადი გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

ომის ვეტერანებს და სხვა კონკრეტულ სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირებს აქვთ უფლება ყოველთვიური ფულადი სახის საყოფაცხოვრებო სუბსიდიაზე, თუ ისინი საქართველოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად ან წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ავადმყოფობის გამო 2010 წლის 1 აპრილამდე თადარიგში დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, რაც დასტურდება თადარიგში დამთხოვნი დამსაქმებლის მიერ წერილობითი ფორმით. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა განისაზღვრება კატეგორიის მიხედვით. საყოფაცხოვრებო სუბსიდია ჩაირიცხება ბენეფიციარისათვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედ ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

რა არის საჭირო საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მისაღებად?

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მისაღებად პირმა უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და უნდა წარადგინოს:
- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შესაბამისი სოციალური კატეგორიის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი (დოკუმენტი).

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=29&lang_id=GEO

სოციალური პაკეტი

რა არის სოციალური პაკეტი და ვის ენიშნება ის?

სოციალური პაკეტი არის პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა, რომელიც ენიშნებათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, აგრეთვე სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. სოციალურ პაკეტს ასევე მიიღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო და საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები.

სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრე და შესაბამისი პაკეტის ოდენობა დადგენილია

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით და ასევე ხელმისაწვდომია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე.

რა საბუთების წარდგენაა საჭირო სოციალური პაკეტის დასანიშნად?

სოციალური პაკეტის დასანიშნად პირმა განცხადება უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში, მიუხედავად პირის რეგისტრაციის ადგილისა.

განცხადებასთან ერთად სააგენტოს ასევე უნდა წარედგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განცხადების წარმდგენმა უნდა წარადგინოს სოციალური პაკეტის მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, ბავშვის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში - აგრეთვე მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

უცხო ქვეყნის მოქალაქემ ასევე უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეც არის. ასევე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში კანონიერ ცხოვრებას.

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი - http://ssa.gov.ge/index.php/index.php?lang_id=GEO&sec_id=31

განათლება

მათ, ვინც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიიღეს ზოგადი განათლება, აქვთ შესაძლებლობა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გააგრძელონ სწავლა.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა პირებმა განათლების საკითხებთან დაკავშირებით უნდა მიმართონ შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ასევე გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციის განათლების დეპარტამენტს.

ზოგადი განათლების აღიარება

თუ პირს სურს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სკოლაში, უნივერსიტეტში ან პროფესიულ სასწავლებელში განაგრძოს სწავლა, მას საშუალება აქვს მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან უკვე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება. შესაძლებელია როგორც სრული ზოგადი განათლების, ასევე ცალკეული კლასის, სემესტრის ან საფეხურის აღიარება.

ვის უნდა მივმართო მიღებული ზოგადი განათლების აღიარებისათვის?

განათლების აღიარებისათვის პირმა უნდა მიმართოს, შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის საშუალებით), ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას.

რა საბუთებია საჭირო?

განათლების აღიარების პროცედურისათვის პირმა უნდა წარადგინოს:
- განცხადება;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი ან უმაღლესი განათლების კონკრეტული კლასის/საფეხურის/სემესტრის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- იმ მოწმეთა ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები, რომლებიც დაადასტურებენ განმცხადებლის მიერ ზოგადი განათლების მიღების ფაქტს;
- იმ დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც შესაძლოა ინახებოდეს განმცხადებლის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/საფეხურის/სემესტრის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ობიექტური გარემოებების არსებობისას, განიხილება ასევე იმ პირთა სრული ზოგადი განათლების აღიარების საკითხი, რომლებმაც აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უწყვეტად ისწავლეს ბოლო 1 წელი და არანაკლებ 1 წელი - საბაზო საფეხურზე.

რა ვადაში განიხილება ჩემი განცხადება?

განცხადების განხილვის ვადაა 1 თვე. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს - ატესტატს გასცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. პირმა ამისათვის განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოს იუსტიციის სახლის ან ტერიტორიულ ორგანოს მეშვეობით.

საბუთი ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე საშუალებას აძლევს მოსწავლეს სწავლა საქართველოს სკოლაში გააგრძელოს, ხოლო სრული ზოგადი განათლების ატესტატის მფლობელს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

უმაღლესი განათლების აღიარება

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახდენს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებას, რისთვისაც ცენტრს განცხადებით უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირმა.

რა საბუთებია წარსადგენი?

პირმა განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს:

- წერილობითი განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მონაცემებს იმის თაობაზე, რომ დაინტერესებულმა პირმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაასრულა უმაღლესი განათლების მიღება ან იღებს უმაღლეს განათლებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მონაცემები იმ მოწმეთა შესახებ, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მიღების თაობაზე;
- ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მონაცემებს დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მიღების თაობაზე.

რა პროცედურით ხდება განათლების აღიარება?

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მიღების დადასტურების მიზნით, ატარებს ადმინისტრაციულ წარმოე-

ბას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოების ფარგლებში შესაძლებელია დაინიშნოს ზეპირი განხილვა.

უმაღლესი განათლების მიღების დადასტურების შემთხვევაში, ცენტრი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც აღნიშნულ საკითხზე წარადგენს დასკვნას.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირის უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ცენტრი აღიარებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებულ უმაღლეს განათლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების შედეგად არ დგინდება დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მიღება ან არასაკმარისად/არასარწმუნოდ მიიჩნევს წარმოდგენილ ინფორმაციას.

სწავლის დაფინანსება

ვის შეუძლია მიიღოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის სახელმწიფო გრანტით დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში?

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სკოლებში ან რომელთა სასკოლო განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მიიღებენ დაფინანსებას სახელმწიფო სოციალური პროგრამის ფარგლებში - სახელმწიფო სასწავლო გრანტს.

პროგრამა 1+4

შემიძლია თუ არა ჩავაბარო საქართველოს უნივერსიტეტში, თუ სათანადოდ არ ვიცი ქართული ენა?

საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის მსურველ პირებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, აქვთ შესაძლებლობა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) ფარგლებში აფხაზურ, ოსურ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი და ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში გაიარონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამის შემდეგ, მათ ექნებათ საშუალება ქართულ ენაზე განაგრძონ სწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს სახელმწიფო უზრუნველყოფს სასწავლო გრანტით.

<u>საქართველოს უნივერსიტეტში/პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებისა და სწავლის საკითხებზე გთხოვთ იხილოთ:</u>

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - http://www.naec.ge/
ან დარეკოთ ცხელ ხაზზე 247 33 33.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, შეგიძლიათ მიმართოთ:</u>

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი: თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68, (+995 32) 2950833

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია: თბილისი, ქავთარაძის ქ. 21, (+995 32) 2935301

მოქალაქეობა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს მოქალაქეობის მიღებას დაბადებით და ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ნატურალიზაციით ხდება ჩვეულებრივი, გამარტივებული, საგამონაკლისო, აღდგენის და სპეციალური წესით. ასევე,

შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობის დადგენა (საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენა).

მოქალაქეობის დადგენა

რა შემთხვევაში დამიდგინდება საქართველოს მოქალაქეობა?

საქართველოს მოქალაქეებად, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვეს ან მოიპოვებენ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, მიიჩნევიან:
ა) 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
ბ) 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოში და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
გ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ წინა ორ მოთხოვნას, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

ვის უნდა მივმართო მოქალაქეობის დასადგენად?

მოქალაქეობის დასადგენად დადგენილი ფორმის განცხადებები და საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტები განმცხადებელს შეაქვს სააგენტოში ან ტერიტორიულ სამსახურში, იუსტიციის სახლის ფილიალებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით - ელექტრონული ფორმით; ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირს - საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

რა საბუთები უნდა წარვადგინო?

მოქალაქეობის დასადგენად საჭიროა:
- დადგენილი ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
- ფოტოსურათი 3×4 ზომის;
- საქართველოსთან კავშირის დამადასტურებელი შესაბამისი საბუთი.

(კანონის 30 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განსახილველად პირმა უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს:
ა) საქართველოში ჯამურად არანაკლებ 5 წლის განმავლობაში ცხოვრების დამა-

დასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან/და იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);
ბ) 1993 წლის 31 მარტისათვის საქართველოში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან/და იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).
ამ მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განსახილველად წარდგენილი უნდა იქნეს:
ა) დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლების საპასპორტო მონაცემები) ასლი;
ბ) 1993 წლის 31 მარტისათვის საქართველოში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
ამ მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განსახილველად წარდგენილი უნდა იქნეს:
ა) საქართველოში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლების საპასპორტო მონაცემები) ასლი;
ბ) 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დატოვების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების (პასპორტი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი, ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი) ასლები).

მოქალაქეობის მინიჭება

რას ნიშნავს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება?

საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება პირს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში, დადგენილ ფარგლებში ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საქართველოს ისტორიასა და სამართლის საფუძვლებს, საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

რას ნიშნავს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება?

გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში კანონიერ

საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში დადგენილ ფარგლებში ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საქართველოს ისტორიასა და სამართლის საფუძვლებს, ასევე რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებს.

რას ნიშნავს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება?

საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:
- არამართლზომიერად;
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;
- მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად.

რა შემთხვევაში ხდება საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება?
საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ვის უნდა მიმართოს პირმა მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით?

მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე დადგენილი ფორმის განცხადება და საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტები განმცხადებელს შეაქვს სააგენტოში, ტერიტორიულ სამსახურში, იუსტიციის სახლის ფილიალში ან საზოგადოებრივ ცენტრში. სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით ელექტრონული ფორმით შესაძლებელია მხოლოდ საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების განცხადების ჩაბარება. ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირს შეუძლია განცხადება წარადგინოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

ბინადრობის ნებართვა

საქართველოში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს აქვს უფლება აიღოს ბინადრობის მოწმობა, რომელიც მისცემს მას ქვეყანაში უვიზოდ ცხოვრების უფლებას. ბინადრობის მოწმობა შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი.

რა სახის ბინადრობის ნებართვები გაიცემა საქართველოში?

საქართველოში დროებითი ცხოვრების უფლებით გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები:
- შრომითი ბინადრობის ნებართვა;
- სასწავლო ბინადრობის ნებართვა;
- ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით;
- საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა;
- მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა;
- დროებითი ბინადრობის ნებართვა უცხოელისთვის, რომელსაც აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი;
- მუდმივი ცხოვრების ნებართვა;
- საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა;
- მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა უცხოელისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, ვინც ფლობს საქართველოში უძრავ საკუთრებას (გარდა სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწისა) რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და ასევე,
- სპეციალური ბინადრობის ნებართვა, კონკრეტული გარემოებების არსებობისას.

რა შემთხვევაში გაიცემა ბინადრობის ნებართვა მუდმივი ცხოვრების უფლებით?

საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებით გაიცემა მუდმივი ბინადრობის ნებართვა საქართველოს მოქალაქის ოჯახის წევრზე (მეუღლე, მშობელი, შვილი), ასევე, უცხოელზე, რომელიც ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში დროებითი ნებართვის საფუძველზე (ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი), საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა პირზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია და მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით ან რომელიც 1993 წლის 31 მარტისათვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალა და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილა საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან.

რა შემთხვევაში გაიცემა ბინადრობის ნებართვა დროებითი ცხოვრების უფლებით?

დროებით ცხოვრების უფლებით ბინადრობის ნებართვა გაიცემა ყველა სხვა შემთხვევაში, პირველ ჯერზე 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. დროებითი ბინადრობის ნებართვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს.

ვის უნდა მიმართოს პირმა ბინადრობის ნებართვის ასაღებად?

ბინადრობის ნებართვის მისაღებად პირმა განცხადება უნდა წარადგინოს იუსტიციის სახლში ან სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში, ბინადრობის ნებართვაზე განცხადების წარდგენა ასევე შესაძლებელია საზოგადოებრივ ცენტრებში და სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონული ფორმით.

სერვისების განვითარების სააგენტოში ან სააგენტოს ვებ გვერდზე შესაძლებელია იმ საბუთების ნუსხის მოპოვება, რომელიც პირმა უნდა წარადგინოს ნებართვის ასაღებად.

რით შეუძლია სახალხო დამცველის აპარატს დახმარება?

თუ თქვენ თვლით, რომ არამართებულად გითხრეს უარი საქართველოს მოქალაქეობის ან ბინადრობის მოწმობის მინიჭებაზე, შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ:</u>

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებგვერდი - http://www.sda.gov.ge/?page_id=5123 (ხელმისაწვდომია ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე)